



Energy Recovery

ნარჩენების გარდაქმნა ენერგიად, რომელიც გულისხმობს სპეციალური ტექნოლოგიების მეშვეობით ნარჩენების თერმულ დამუშავება/დაწვას, რომლის დროსაც წარმოქმნება სასარგებლო ენერგია.

ნარჩენების ენერგიად გარდაქმნის საუკეთესო მაგალითია ნაგავსაყრელებიდან გამომუშავებული ენერგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოთ დასახლებული პუნქტების ცენტრალური გათბობისათვის და ელექტრო-ენერგიის მისაღებად.

Disposal

- ნარჩენების განთავსება, გულისხმობს ნარჩენების კანონიერ და კონტროლირებად განთავსებას მიწის ზედაპირზე. ხშირ შემთხვევაში ხდება ნარჩენების დამარხვა, რაც არასწორი ტექნოლოგიების შემთხვევაში მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობას.



პროექტს „მუნიციპალიტეტების დონეზე სამქალაქო საზოგადოების გაძლიერება და მათი ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში“ ახორციელებს საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო.

* * *

“ჰუბლიკაცია გამოცემულია გაეროს განვითრების პროგრამის (UNDP), სამხრეთ კავკასიაში შევიცარიის თანამშრომლობის ოფისისა (SCO) და ავსტრიის განვითარების საგენტოს (ADC) მხარდჭერით.

ჰუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები აფტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს ზემოთ ჩამოთვლილი საერთაშორისო ორგანიზაციების მოსაზრებებს”.

თბილისი. სლავა მეტრეველის № 4. 0112

ტელ.: (+995 32) 230 62 21

ელ.ფოსტა: info@greens.ge

ვებ-გვერდი: www.greens.ge



Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra
Friends of the Earth Georgia
Swiss Agency for Development and Cooperation SDC

WITH FUNDING FROM
AUSTRIAN DEVELOPMENT COOPERATION
UNDP
Empowered lives.
Resilient nations.



ნარჩენების მართვის ინიციატივა

3R ინიციატივა

2017 წლი

მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის პრობლემა, ჯერ კიდევ არსებობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ოუმცა, ბევრმა ქვეყანამ მრავალწლიანი მუშაობის შედეგად გადაჭრა აღნიშნული საკითხი და დღესდღეობით ნარჩენების მეორადად გადამუშავებით სარგებელსაც ღებულობს.

საქართველო იმ ქვეყნებს მიეკუთვნება, რომელიც ჯერ კიდევ დიდი გამოწვევის წინაშე აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში. შესაბამისად, სახელმწიფო დონეზე მრავალი აქტიური ქმედებაა განსახორციელებელი ნარჩენები მართვის სრულფასოვანი სისტემის შესაქმნელად.

2014 წლიდან ძალაში შევიდა ნარჩენების მართვის კოდექსი, რაც ერთერთი წინგადადმუშავებული ნაბიჯია ნარჩენების მართვის სისტემის დანერგვისა და განვითარებისათვის.


ნარჩენების მართვის იქარქია



თანამედროვე მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები მრავალი წელია დიდ ყურადღებას ამაზონილებრივ ნარჩენების პრობლემის მოგარებაზე. კერ კიდევ, 2005 წლიდან იაპონიაში გავრცელდა ინფორმაცია 3ლ-ის ინიციატივის დანერგვასთან დაკავშირებით. რომელიც შემდგომში გახდა საფუძვლი ნარჩენების მართვის ქველაზე მოწინავე ტექნოლოგიის მთელ მსოფლიოში.

ტერმინი – 3R შესაბამისი სამი სიტყვის (ანუ იმ სამი ქმედების) პირველი ასოების ერთობლიობას წარმოადგენს, რომელიც ყველაზე მთავარია ნარჩენების მართვის პროცესში. ესენია:

REDUCE – შემცირება; **REUSE** – ხელახალი გამოყენება; **RECYCLE** – რეციკლირება ანუ გადამუშავება.



REDUCE

ნარჩენების შემცირება გულისხმობს, ნაკლების ყიდვას და ნაკლების მოხმარებას.

ნარჩენების შემცირება არის პროცესი ან პილიტიკა, რომლის დროსაც ხდება ცალკეულ ადამინთა ან მთლიანად საზოგადოების მიერ წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის შემცირება. ანუ, თითოეულმა ჩვენგანმა უნდა შევიძინოთ ოპტიმალური რაოდენობის როგორც პროდუქტი, ასევე სხვა საქონელი, რითაც თავიდან ავიცილებთ ნარჩენების წარმოქმნას. დაგზოგავთ ენერგიას და რესურსს.

REUSE - ნარჩენების ხელახალი გამოყენება, რომელიც გულისხმობს უკვე მოხმარებული ნივთების მეორად გამოყენებას. ეს შეიძლება იყოს ნივთების იგივე ან სხვა დანიშნულებით გამოყენება.



ხელახალი გამოყენება, მათი ტექნოლოგიური გადამუშავების გარეშე ზოგადს დროს, ფულს, ენერგიას და რესურსებს. ხელახალი გამოყენების კლასიკური მაგალითებია: მინის ბოთლების ჩაბარება საწარმოში, სადაც მას ხელახლა იყენებენ პროდუქციის ჩამოსახმელად.



RECYCLE

ნარჩენების რეციკლირება, ანუ გადამუშავება ნარჩენების მართვის თანამედროვე ტექნოლოგიების მთავარ

კომპონენტად ითვლება და გულისხმობს გამოყენებული ნივთის ან ნარჩენის ტექნოლოგიურ გადამუშავებას სხვა პროდუქტად.

ამ კომპონენტს უდიდესი ყურადღება ექცევოდა საერთაშორისი დონეზე ჯერ კიდევ, 3R-ის ინიციატივის დანერგვამდე. რეციკლირების შედეგად მცირდება ნედლი მასალის ან რესურსის მოხმარება, რაც, თავის მხრივ, ზოგადს ენერგიას, ამცირებს ჰაერისა და წყლის დაბინძურებას.

დროთა განმავლობაში „ნარჩენების იერარქიამ“ განიცადა ცვლილება და დაემატა კიდევ 2 კომპონენტი. ოუმცა, ნარჩენების მართვის თანამედროვე ევროპული მოდელის საფუძვლად მაინც 3R ინიციატივა მიიჩნევა.

ნარჩენების იერარქია გულისხმობს ნარჩენების მართვის შედეგად ადამიანებმა მიეიღოთ მაქსიმალური პრაქტიკული სარგებელი და მინიმალური ზიანი მივაყენოთ გარემოს. ამდენად, ევროპული მოდელი შედგება 5 ძირითადი კომპონენტისაგან: შემცირება, ხელახალი გამოყენება, გადამუშავება, ნარჩენების გარდაქმნა ენერგიად და ნარჩენების განთავსება.

